განმარტებითი ბარათი

საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გაფორმებულ „რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი"-ს სასესხო ხელშეკრულებაზე

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით 2012 წლიდან მიმდინარეობს რეგიონალური განვითარების ორი პროექტი. აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს კახეთის და იმერეთის რეგიონების მასშტაბით ურბანული, კომუნალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციის, აგრეთვე ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდის მიზნით ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას. პროექტები ამჟამად განხორციელების ეტაპზეა.

რეგიონალური განვითარების მესამე პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის განკარგულების (№1098, 17.06.2014წ) საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო კონსულტაციები მსოფლიო ბანკთან.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №308 განკარგულების და საქართველოს პრემიერ-მინისტრის №58 ბრძანების შესაბამისად, გაიმართა მოლაპარაკება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან რეგიონალური განვითარების მესამე პროექტის სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით.

სესხის თანხით (60 მლნ აშშ დოლარი) გათვალისწინებულია მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მასშტაბით ურბანული, კომუნალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაცია, აგრეთვე ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდის მიზნით ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების განხორციელება სხვადასხვა ქალაქებში. პროექტის განხორციელება ნავარაუდებია 2015-2019 წლებში.

სესხის ფინანსური პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №290 განკარგულების შესაბამისად:

სესხის ვალუტა: აშშ დოლარი;
სესხის ხანგრძლივობა: 25 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 14 წელი);
საპროცენტო განაკვეთი: Libor-ზე დაფუძნებული ცვლადი განაკვეთი (Libor+Variable Spread);
ერთჯერადი ადმინისტრირების საკომისიო: 0,25% სესხის მთლიან თანხაზე;
სესხის ვალდებულების გადასახადი (Commitment fee): 0.25% ერიცხება სესხის აუთვისებელ თანხას;
კონვერსიის შესაძლებლობა: გათვალისწინებულია სასესხო ხელშეკრულებაში.

სესხის თანხა პროექტის განსახორციელებლად გადაეცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №1641 განკარგულების და პრემიერ-მინისტრის №308 ბრძანების საფუძველზე 2015 წლის 7 აგვისტოს ხელი მოეწერა საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის „რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი"-ს სასესხო ხელშეკრულებას.

სასესხო ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ბატონ ნოდარ ხადურმა და მსოფლიო ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მხრიდან საქართველოში მსოფლიო ბანკის ოფისის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა იოსებ მელითაურმა.